ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. ს., ლ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №062/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ჯ/-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ჯ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 მაისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ს. რომელსაც თან ახლდა მისი დის, ლ. ს.-ს საჩივარი. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს ადვოკატ ს. ჯ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 21 ივნისს საჩივრის ავტორმა, ლ. ს. საპროცესო სხდომაზე დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორების განმარტებით, გ. ს. არის მსჯავრდებული და იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში. გ. ს.-ს განცხადებით, 2015 წლის 8 თებერვალს, დაპატიმრების მეორე დღეს მასთან შევიდა ადვოკატი, ს. ჯ. რომელმაც განუმარტა, რომ მისი ინტერესების დასაცავად დაიქირავა ლ. ს.-მ. ადვოკატი სრულად დაესწრო გამოკითხვას, სადაც გამომძიებლის დასმულ შეკითხვებს კლიენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი იყენებდა დუმილის უფლებას.

1.3 ლ. ს.-ს განმარტებით, გ. ს.-ს ინტერსების დამცველი ადვოკატი, ს. ჯ. პირველი და მეორე ინსტანციის მიერ საქმის განხილვის პროცესუალურ სტადიებზე გამოირჩეოდა უკიდურესი გულგრილობით და უპასუხისმგებლობით.

1.4 2018 წლის 21 ივნისის საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე ლ. ს. განმარტა, რომ ადვოკატთან გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება, რათა ს. ჯ.-ს დაეცვა გ. ს. მის მიმართ წაყენებული ბრალის ფარგლებში. ლ. ს. აღნიშნული მომსახურების მისაღებად ადვოკატს გადაუხადა 1000 (ათასი) ლარი. მას შემდეგ რაც, ძირითადი საქმიდან სასამართლომ გამოყო მუხლი, რომლის განხილვასაც გორის რაიონული სასამართლო აწარმოებდა, ლ. ს. სთხოვა ადვოკატს გ. ს.-ს ინტერესები დაეცვა გორის რაიონულ სასამართლოშიც. ადვოკატმა განუცხადა, რომ მოცემულ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მას ორდერი არ ჰქონდა, შესაბამისად აუცილებელი იყო ჰონორარის გადახდა და ორდერის გაკეთება, რათა საქმეში მონაწილეობა მიეღო. ამის შემდეგ, ლ. ს. გადაუხადა ადვოკატს 1000 (ათასი) ლარი ანუ მთლიანობაში, ს. ჯ.-ს საადვოკატო მომსახურეობისთვის გადაუხადა 2000 (ორი ათასი) ლარი.

1.5 საჩივრის ავტორი, ლ. ს. მიუთითებს, რომ ადვოკატმა არ გამოითხოვა საგამოძიებო ოქმი და ვიდეოჩანაწერი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი ძმის, გ. ს.-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაბარების ფაქტი, რა დროსაც მას იძულებით აუღეს დნმ, მტკიცებულებების გაყალბების მოტივით.

1.6 საჩივრის ავტორების განმარტებით, გ. ს. ადვოკატს სთხოვდა, რომ სასამართლოდან, მის საქმეში არსებული ვიდეომასალების ასლები გამოეთხოვა, რომლითაც დადასტურდებოდა მისი სიმართლე. ადვოკატმა კი კლიენტს განუცხადა, რომ არც სასამართლო და არც პროკურატურა აღნიშნულ მასალებს არ აძლევდა. გ. ს.-ს განცხადებით ადვოკატი დღემდე ატყუებს, რომ ყველაფერს იღონებს მათ მოსაპოვებლად, თუმცა არაფერს აკეთებს.

1.7 ლ. ს.-ს მიერ 2018 წლის 21 ივნისის საპროცესო კლოეგის მიერ გამართულ სხდომაზე გაკეთებული განცხადების მიხედვით, ადვოკატმა საჩივრის ავტორებს განუმარტა, რომ გ. ს.-ს მიერ მოთხოვნილი ვიდეომასალები არის დალუქულ მდგომარეობაში და მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა მიმართა სასამართლოს, სასამართლო მათი ასლების გაცემაზე უარს აცხადებს. ლ. ს.-ს განცხადებით, ადვოკატი ვალდებული იყო მოეთხოვა ვიდეომასალების ასლები მანამ, სანამ მოხდებოდა მათი დალუქვა. მაშინ, როდესაც სასამართლომ აცნობა გ. ს.-ს, რომ ვიდეომასალები უნდა დალუქულიყო, მას ეგონა, რომ ადვოკატს უკვე ჰქონდა მასი ასლები და შესაბამისად, ლუქებს ხელი მოაწერა.

1.8 გ. ს. წარმოდგენილ საჩივარში ასევე განმარტა, რომ ადვოკატმა არ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება, აღკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

1.9 ლ. ს.-ს განმარტებით, ადვოკატს სარჩელი უნდა შეეტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა ხელოვნურად გააჭიანურა ეს საქმე, დაარღვია რეგულაციით გათვალისწინებული ვადა და ამით გ. ს.-ს მიაყენა უდიდესი ზიანი, როგორც მორალურად, ისე სამართლებრივად.

1.10 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი ხშირად იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, როგორც სასამართლოში ასევე გ. ს. შეხვედრის დროს.

1.11 გ. ს. აღნიშნავს, რომ არასოდეს ჰქონია კონსულტაცია ადვოკატთან, მხოლოდ ერთხელ სასამართლო სხდომაზე ყოფნის დროს მოითხოვა 10 (ათი) წუთიანი შესვენება კონსულტაციის გაცემის მიზნით, რა დროსაც კლიენტს შესთავაზა მცდარი ინფორმაციის გაჟღერება.

2. მოწმე ი. ც.-ს პოზიცია:

2.1 მოწმე ი. ც. გამოკითხული იქნა 2018 წლის 21 ივნისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც განმარტა, რომ ადვოკატთან ურთიერთობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც სასამართლოში გ. ს.-ს საქმე დამთავრდა. ი. ც.-მ დაადასტურა, რომ ადვოკატთან შეხვედრისას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ადვოკატი ხშირად იყო არაფხიზელ მდგომარეობაში.

2.2 მოწმე ი. ც.-მ განმარტა, რომ ის ხშირად უკავშირდებოდა ს. ჯ.-ს იმ მიზნით, რომ ადვოკატს გ. ს.-ს საქმეზე საჩივარი შეეტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა ადვოკატი ცდილობდა ვადის გაჭიანურებას. საბოლოოდ, ადვოკატმა საჩივარი მისი შეტანისთვის განსაზღვრული ვადის ბოლო დღეს დაწერა და ი. ც.-მ ფოსტის მეშვეობით გააგზავნა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი არ მიიღო წარმოებაში, ვინაიდან საჩივარი არასწორად იყო შედგენილი.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ს. ჯ.-მ 2018 წლის 29 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ გ. ს.-ს დასაცავად აიყვანა მისმა დამ, ლ. ს.-მ. შესაბამისად, ის 2015 წლის 8 თებერვლიდან ახორციელებდა გ. ს.-ს ინტერესების დაცვას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, სამივე ინსტანციის სასამართლოში.

3.2 ადვოკატის განმარტებით, მან არაერთხელ გააჟღერა გ. ს.-ს დნმ-ის იძულებით აღების ფაქტი, როგორც სასამართლოში, ასევე სატელევიზიო საშუალებებით.

3.3 ადვოკატი ს. ჯ. უარყოფს გ. ს.-ს პოზიციას აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. ადვოკატმა განმარტა, რომ გაიარა კლიენტთან კონსულტაცია და შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილება არ გაესაჩივრებინათ, ვინაიდან გასაჩივრებით სასარგებლო შედეგს ვერ მიიღწევდნენ.

3.4 ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორების პოზიციას ადვოკატის არაფხიზელ მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ როგორც პენიტენციალურ დაწესებულებაში, ასევე სასამართლო შენობაში შესვლისას აუცილებელია შემოწმებისა და მკაცრი კონტროლის გავლა. შესაბამისად, ადვოკატი აღნიშნულ დაწესებულებებში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნას გამორიცხავს.

3.5 ადვოკატი ს. ჯ. 2018 წლის 21 ივნისს გამოიკითხა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე სადაც მან მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიაში გამოგზავნილ თავის ახსნა-განმარტებას და დამატებით განმარტა, რომ გ. ს.-ს დასთან, ლ. ს. წერილობითი ფორმით გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აიღო 1000 (ათასი) ლარი. ასევე, ლ. ს. მას დახმარება სთხოვა გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესებშიც, სადაც ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ მის ხელთ არსებული ორდერი არ ითვალისწინებდა კლიენტის ინტერესების დაცვას გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე. ადვოკატმა ასევე აუხსნა ლ. ს.-ს, რომ აუცილებელი იყო ახალი ორდერის მომზადება და მათი მხრიდან თანხის გადახდა. ადვოკატის განმარტებით აღნიშნულ საქმეზე ლ. ს. მიიღო 1000 (ათასი) ლარი. მთლიანობაში, კლიენტისგან აღებულმა გასამრჯელომ 2000 (ორიათასი) ლარი შეადგინა.

3.6 ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ საქმეში არსებული ვიდეომასალების ასლის გადმოცემის თაობაზე განცხადება შეიტანა სასამართლოში, თუმცა სასამართლომ უარი განუცხადა.

3.7 ადვოკატის განმარტებით კომუნიკაციის პრობლემა მასსა და მის კლიენტს შორის არასოდეს ყოფილა. ს. ჯ. ყველა განხორციელებული მოქმედების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა გ. ს.-ს. ადვოკატი ასევე მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მასთან დაკავშირება სატელეფონო საშუალებით.

3.8 ადვოკატმა განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნ სარჩელზე მუშაობა დაიწყო საკასაციო სასამართლოს მიერ განჩინების მიღების შემდეგ. ამასთან აღნიშნა, რომ ვინაიდან ცხოვრობს სოფელში, იმ პერიოდში ინტერნეტთან წვდომა არ ჰქონდა, შესაბამისად სარჩელის შინაარს ხელით ამუშავებდა. ადვოკატმა გაკეთებეული ხელწერილები ამობეჭდა ინტერნეტკაფეში, სარჩელის შეტანისთვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე ორი დღით ადრე და ლ. ს.-ს და მის უფლებამოსილ პირს იმავე დღეს გადასცა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ს. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 გ. ს. და ლ. ს. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 10 მაისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა, ს. ჯ.-მ არაკვალიფიციურად იმოქმედა, ვინაიდან სასამართლოდან არ გამოითხოვა მხარის მიერ მითითებული ვიდეო მასალების ასლები და საგამოძიებო ოქმი; დადგენილ ვადაში, არ იზრუნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის დაწერაზე და გაგზავნაზე; არ გაასაჩივრა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ხშირად იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, როგორც სასამართლოში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ს. ჯ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 096/11 დაადგინა: „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

6.5 სსსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

6.6 2015 წლის 8 თებერვალს, ადვოკატ ს. ჯ. და ლ. ს.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება დაიდო წერილობით ფორმით. ადვოკატს უნდა დაეცვა ლ. ს.-ს ძმის, გ. ს.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე, მის მიმართ წაყენებული ბრალის ფარგლებში. ს. ჯ. გ. ს.-ს ინტერესების დაცვას აწარმოებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, გორის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესს სასამართლოში. საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატს გ. ს.-ს ინტერესების დაცვის მიზნით საჩივარი უნდა წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოში, რისთვისაც აუცილებელი იყო ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი და გ. ს.-ს საქმეში დისკზე არსებული მასალების, კერძოდ: ტელეკომპანია „დ.-დან“ გამოთხოვილი ვიდეომასალის, სოციალურ ქსელ „იუთუბიდან“ გადმოწერილი ვიდეომასალის და გ. ს.-ს ბინის ჩხრეკის ამსახველი ფოტომასალის ასლების გამოთხოვა. საჩივრის ავტორების განმარტებით არსებული ვიდეომასალებით გ. ს.-ს უდანაშაულობა მტკიცდება.

6.7 ადვოკატის განმარტებით, მან მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ვიდეომასალების ასლის გამოთხოვის მიზნით, თუმცა სასამართლომ უარი განუცხადა მათ გადაცემაზე.

6.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, საქმეში წარმოდგენილია, სატელეფონო ჩანაწერები, სადაც მოწმე ი. ც. ადვოკატს სთხოვს სასამართლოდან მასალების გამოთხოვას. ადვოკატი კი პასუხობს, რომ სასამართლომ გადასცა საქმეში არსებული ყველა მასალა, გარდა დისკზე არსებული ვიდეომასალებისა, რაზედაც სასამართლოსგან მიიღო წერილობითი უარი. აღნიშნულ სატელეფონო ჩანაწერებში მითითებული გარემოებები, ასევე დასტურდება საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ: საქმეში წარმოდგენილია ს. ჯ.-ს განცხადება, საიდანაც დგინდება, რომ 2017 წლის 13 თებერვალს, ს. ჯ.-მ განცხადებით მიმართა გორის რაიონული სასამართლოს

თავჯდომარეს, ვიდეომასალების გადმოცემის მიზნით. საქმეში ასევე წარმოდგენილია გორის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტის პასუხი ს. ჯ.-ს განცხადებაზე, სადაც მითითებულია შემდეგი: „გორის რაიონულ სასამართლოში გ. ს.-ს მიმართ არსებული (სასამართლოს ნომერი) სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია სამი დისკი, თითოეული დალუქულ პაკეტად, რომლებიც გამოკვლეულია გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 8 ივნისის სხდომაზე და კვლავ დალუქულია გორის რაიონული სასამართლოს გერბიანი ბეჭდით; ეს ლუქები ხელმოწერილია სხდომის თავჯდომარე ნ. მ.-ს, სხდომის მდივან მ. შ.-ს, პროკურორ ი. მ.-ს, ბრალდებულ გ. ს.-ს და თქვენ მიერ.... ამჟამად, ამ საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი (საბოლოო განაჩენი) არის აღსასრულებლად მიქცეული და ამ დროისთვის არ არსებობს საფუძველი, აქ აღნიშნული რომელიმე დალუქული დისკის გახსნისა და თქვენთვის, მისი ასლის გაკეთებისა“.

6.9 საპროცესო კოლეგია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტის მოთხოვნისა და მისი ინტერესების დაცვის მიზნით შესაბამისი მოქმედებები გაწია, კერძოდ, ადვოკატმა მიმართა სასამართლოს ვიდეომასალების გამოთხოვის მიზნით, თუმცა სასამართლოსგან უარი მიიღო.

6.10 საჩივრის ავტორების შემდეგი პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა, ს. ჯ.-მ გ. ს.-ს ინტერესების დასაცავად სათანადოდ არ მოამზადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში წარსადგენი საჩივარი, კერძოდ საჩივარი არ იყო ფორმალურად გამართული და ის გაგზავნილი იქნა საჩივრის შესატანად დადგენილი ვადის ბოლო დღეს.

6.11 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ ს. ჯ.-ის მიერ წარდგენილი საჩივარი როგორც ფორმალურად, ასევე შინაარსობრივად შესაბამისობაში არ არის დადგენილ მოთხოვნებთან, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა. აღნიშნულ წერილში, საჩივრის ვადის დარღვევით წარმოდგენის თაობაზე არ არის საუბარი.

6.12 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორების აპელირება ვადის, რომელიმე დღეზე ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე გავლენას ვერ მოახდენს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა, დადგენილ ვადაში კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით მოამზადა საჩივარი და გადასცა ლ. ს.-ს და მის უფლებამოსილ პირს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადასაგზავნად.

6.13 რაც შეეხება, საჩივრის ავტორების პრეტენზიებს დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს რომ ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და საპროცესო მოქმედებების ხარისხს შეაფასებს. ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, თავად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას, სასამართლოს წინაშე წარსადგენი საპროცესო დოკუმენტების შინაარსს, მათი გამოყენების მიზანს და საფუძვლიანობას. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ წარდგენილი საჩივრის შინაარს და მის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტთან.

6.14 საჩივრის ავტორის, გ. ს.-ს შემდეგი პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ ადვოკატმა ს. ჯ.-მ არ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა მიუთითა, რომ მან შესაბამისი კონსულტაცია გაიარა მხარესთან, რის შემდეგაც

ურთიერთმოლაპარაკების გზით მივიდნენ დასკვნამდე, რომ სასამართლოს მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს ვერ გააქარწყლებდნენ, შესაბამისად გასაჩივრებას მათთვის სასურველი შედეგი ვერ მოყვებოდა. ადვოკატის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიას, რომლითაც ადვოკატი გასაჩივრების გამოყენების მიზანშეწონილობას გამორიცხავდა, მხარე დაეთანხმა.

6.15 გადაწყვეტიელების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით, ურთიერთდაპირისპირებული მსჯელობები არსებობს. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც მხარის პრეტენზიის სისწორეს დაადასტურებდა. აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება ადვოკატის ტაქტიკას, რომელიც ადვოკატის განმარტებით კლიენტის მიერ იქნა მოწონებული და გადაწყვეტილი. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ არჩეული სამოქმედო ტაქტიკა არ არღვევს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს.

6.16 საჩივრის ავტორების შემდეგი პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატი ხშირად იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ სასამართლო პროცესებზე და ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში მისვლისას, რაც ადვოკატმა კატეგორიულად უარყო იმ დასაბუთებით, რომ როგორც სასამართლოში ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში აუცილებელია მკაცრი კონტროლის გავლა, რაც საეჭვოს ხდის საჩივრის ავტორების ვერსიას.

6.17 საპროცესო კოლეგიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, აუცილებელია საჩივრის ავტორებს წარმოედგინათ რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატ ს. ჯ.-ს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტს. მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული მოწმის ჩვენება, ადვოკატის არაფხიზელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოწმემ თავად განაცხადა, რომ ადვოკატთან ურთიერთობა ჰქონდა გ. ს.-ს საქმის სასამართლოში დასრულების შემდეგ. შესაბამისად, მოწმემ ვერ დაადასტურა გარემოება, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის განმავლობაში ადვოკატი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. საპროცესო კოლეგია ასევე ყურადღებას ამახვილებს სასამართლოსა და პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესთან დაკავშირებით, რომლიც დროსაც უცხო პირთა შესვლის კონტროლს ახორციელებს მანდატურის სამსახური. მათ ევალებათ არ დაუშვან ისეთი პირების შეყვანა შენობაში, რომლებიც თავიანთი მოქმედებით უპატივცემულობას გამოხატავენ, ერთ-ერთ ასეთ მოქმედებად კი ითვლება ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

6.18 საჩივრის ავტორი, გ. ს. პრეტენზიას გამოთქვამს მასთან ადვოკატის ურთიერთობაზე, კერძოდ მიუთითებს, რომ ადვოკატი კონსულტაციებს არ აწარმოებდა მასთან. ადვოკატი კი საპირისპიროს განმარტავს და აღნიშნავს, რომ გ. ს.-თან მუდმივი კონტაქტი ჰქონდა და საჩივრის ავტორებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მასთან ტელეფონით დაკავშირება. აგრეთვე, ადვოკატის თქმით ის ხშირად ნახულობდა გ. ს.. ბოლოს მას შეხვდა საჩივრის შემოტანამდე, სადაც გ. ს.-მ მასთან საუბარში აღნიშნა, რომ აპირებდა ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანას, რადგან მისი მიზანი იყო ამ გზით მაინც მოეპოვებინა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ვიდეომასალები.

6.19 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 27-33-ე მუხლების თანახმად დისციპლინური საქმეთა განხილვა მიმდინარეობს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით. არცერთი მხარე არ არის შეზღუდული საქმესთან დაკავშირებული საჭირო მტკიცებულების წარმოდგენისგან. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება,

რომლითაც ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის ფაქტი დადასტურდებოდა.

6.20 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6.21 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილით; ,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №062/18 ადვოკატ ს. ჯ.-ს მიმართ, /სიითი #/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე /

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/